# ახალგაზრდა კომუნისტი

ხუთშაბათი, 4 იანვარი, 1990 წ. № 1 (11487)

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

«АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ» — ОРГАН ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 13 აგვისტოს

ფასი 3 კაპ.

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქუჩა № 14 (შესასვლელი გ. ლინსაის ქუჩიდან) ტელეფონები: ინფორმაციისათვის – 93-97-31, წერილების განყოფილება – 93-38-52, სამდივნო – 93-31-56



ეროვნული ბიბლიოთეკა


# საიდუმლოდ ქართველ ერისა იჟღერეთ, სიმნო ოქროისანო!

ეს სიტყვები აქვს ეპიგრამად ქართულ ეროვნულ ჰიმნს, რომელიც კომპოზიტორმა, დირიჟორმა, მუსიკათმცოდნემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა კოტე ფოცხვერაშვილმა მიუძღვნა დამოუკიდებელ საქართველოს. მოგეხსენებათ, ეროვნული ჰიმნი იმ სახელმწიფოს მისწრაფებას, იმ ხალხის ხასიათს გამოხატავს, ოღონდ სამუსიკო ენით, რომელიც მას ასრულებს; მისი ფესვები თავად ხალხშია და ამგვარი საგალობლის ავტორიც უთუოდ ამ ხალხის ღვიძლი შვილია. ასეთი იყო კოტე ფოცხვერაშვილი — ქართული ხალხური შემოქმედების, ჩვენი ეროვნული საუნჯის მოამაგე და პოპულარიზატორი. იგი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რუდუნებით აგროვებდა ხალხის გულიდან ამოძახილ სიმღერებს და აკვირდებოდა, ულრმავდებოდა მათ, ცდილობდა ამოეცნო საუკუნეების წიაღიდან მომდინარე საიდუმლო...

აი, რას წერს „დიდების“ შესახებ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წლის 26 მაისს:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის გამოცხადების დღეს ჰიმნი „დიდება“ შესრულებული იქნა მრავალ რიცხოვან ხალხის წინაშე და იმთავითვე. იგი დამსწრე მასამ ისე მიიღო, როგორც აღფრთოვანებული საგალობელი.

ამავე ჰიმნით მიეგება ჩვენი ერი საქართველოს განთავისუფლებას. იგი დიდის ზეიმით შესრულებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარების დღეს ქ. ტფილისში 1918 წელს 26 მაისს:

ერთი თვის შემდეგ, 1918 წელს 26 ივნისს, თვით ცხოვრების პირობების განვითარებით, ჩვენმა მთავრობამ დასახელებული საგალობელი ფაქტიურად ქართულ ეროვნულ ჰიმნად იცნო, როდესაც იგი მთავრობის ბრძანებით შესრულებული იქნა შვიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე, სხვა ერთა ჰიმნის თანასწორ.

ამის შემდეგ, ყოველ კერძო თუ ოფიციალურ შემთხვევაში, ჩვენი ხალხი და მთავრობა ამავე ჰიმნით ხვდებოდა და დღესაც ხვდება ევროპის სხვა და სხვა წარმომადგენლებს.

ჩვენში მყოფმა უცხოელებმა, სხვათა შორის გერმანელებმა, ეს ჰიმნი თავიანთ სახელმწიფოებში გადააგზავნეს, ხოლო ჩვენმა დელეგატებმა იგი საზავო კონფერენციაზედაც კი წაიღეს.

რა ღირსებისაა ქართული ეროვნული ჰიმნი?

რითმი, მელოდია და ჰარმონია, სავსებით უნდა შეესაბამებოდეს ხალხურ ეროვნულ სიმეტრიას.

სიტყვები, ასე ვთქვათ, მხოლოდ თარგმანი უნდა იყოს ჰიმნის მუსიკისა, ხოლო ჰიმნი უმთავრესად თავისი მუსიკით უნდა მეტყველებდეს.



## „დიდება“

სიტყვები და მუსიკა კოტე ფოცხვერაშვილისა.

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა;
დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო ქართველ
მხნე ერსა!
დიდება ჩვენ სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს, დიადსა:
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!



ჰიმნის რითმი, მელოდია და ჰარმონია ისე ბუნებრივად, მარტივად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ კიდევაც ვინმემ შეეცადოს მათ სხვაგვარ შეწყობას, ყველა ცდას უკვე დაწერილმა კომბინაციამ თავისთავად უნდა აჯობოს...“

დიახ, „დიდება“ პირველი შესრულებისთანავე აიტაცა საზოგადოებამ, მაგრამ საქართველოში მისი გუგუნი მალე შეწყდა. ახალი დროის მთავრობამ აკრძალა „მენშევიკური ჰიმნი“, თავად ბატონი კოტე სასწაულებრივად გადაურჩა რეპრესიებს და როგორც „დიდების“ ავტორი, სიცოცხლის ბოლომდე დამნაშავედ ითვლებოდა (გარდაიცვალა 1959 წელს). „მენშევიკების მსახური“ მუსიკოსის მთელმა შემოქმედებამ განიცადა ამგვარი გახწყობილების ზემოქმედება, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

„დიდება“ არ დაივიწყეს ქართველმა ემიგრანტებმა. მათი შთამომავლობა დღესაც ამ ჰიმნით იწყებს ყველა საზეიმო თუ სამგლოვიარო თავყრილობას (გავიხსენოთ თუნდაც ახლახან მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი პანაშვიდის ვიდეორეპორტაჟი საფრანგეთიდან). „დიდება“, მთელს ევროპაში (და არა მხოლოდ იქ) ითვლება საქართველოს ეროვნულ ჰიმნად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი, ჩვენი ხასიათის ესოდენ მკაფიოდ გამომსახველი საგალობელი არ იმსახურებს ამგვარ ხელყოფას, საქართველოში მცხოვრები ქართველისაგან ასე უმიზეზოდ მივიწყებას, ისიც დღეს, როცა გამოღვიძებულმა ერმა თავადვე თქვა უარი საბჭოთა საქართველოს ჰიმნზე, ახალი კი ვერაფერი შექმნა და ჰიმნის ფუნქცია თანამედროვე სიმღერებს დააკისრა. „დიდების“ აღორძინება რა ხანია რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, ბატონმა აკაკი ბაქრაძემაც გვირჩია.

მოდით, გავიხსენოთ „დიდება“, კვლავ ავაჟღეროთ დამოუკიდებელი საქართველოს სახოტბო საგალობელი, იქნებ, სწორედ ის გახდეს ჩვენი ერის მომავალი დიდების მეკვლე.

**ნინო კლარჯეიშვილი**

№ 114

წელიწადი მეორე

წელიწადი მეორე

ფასი 1 მან.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

# საქართველოს რესპუბლიკა

ორშაბათი, 26 მაისი 1919 წ.

---

### ვსწავლობთ დემოკრატიას

## დისკუსიიდან — საქმეზე

უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია, ასპინძის საბავშვო სახლისადმი შეფობის პრობლემები — ასეთი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური სადისკუსიო კლუბის ერთ-ერთი სხდომის დღის წესრიგი. იგი მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს კლუბის საქმიანობის ხასიათსა და მისი შექმნის მიზანს — წარმართოს ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა კონკრეტული საქმეების კალაპოტით.

სადისკუსიო კლუბი ინსტიტუტში ცოტა ხნის წინათ შეიქმნა. აქ სტუდენტებისათვის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების განხილვა უკავშირდება გარდაქმნაში ახალგაზრდა თაობის როლის გააზრებას, მის მისწრაფებას მონაწილეობდეს უმაღლესი სკოლის რეფორმაში, სტუდენტობის პროფესიული და სოციალური ინტერესების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაში.

დისკუსიებში მონაწილეობენ სტუდენტებისა და მასწავლებლების ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები.

სტუდენტები სერიოზულად არიან შეშფოთებული მათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლების დონის, პროგრამის არასრულყოფილების, ზოგიერთი ლექტორის არაკომპეტენტურობის, ქართულ ენაზე კარგი ხარისხის სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. ამიტომ ისინი დიდად არიან დაინტერესებული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნიკურ უნივერსიტეტად გარდაქმნასთან დაკავშირებული ცვლილებებით.

ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია განუყრელად უკავშირდება ეროვნული კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გადიდებას. საგანმანათლებლო მიზნებით აპირებენ შეხვედრებს მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, აგრეთვე ექსპედიციების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა რაიონში არქიტექტურული ძეგლების აღდგენისათვის. ორი ასეთი სტუდენტური ექსპედიცია უკვე მუშაობდა ამ ზაფხულს მესხეთში, კერძოდ, ახალციხის რაიონში საფარის სამონასტრო კომპლექსის აღდგენაზე.

ამჟამად სადისკუსიო კლუბი ემზადება უმაღლესი სასწავლებლის პროფკავშირული კონფერენციისათვის. იგი სვამს საკითხს უმაღლესი სასწავლებლის პროფკომში სტუდენტობის პარიტეტული წარმომადგენლობის შესახებ. ავლენს საზრიან, ინიციატივიან ახალგაზრდებს, რომლებსაც შეუძლიათ პრინციპულად დაიცვან თავიანთი ამხანაგების ინტერესები, აქვთ მკაფიო პოზიცია პროფკავშირული წინამძღვარის ამპლუაში თავიანთი საქმიანობის თაობაზე.

**ო. ბაბუნია,**
**საქინფორმის კორ.**

# 31 დეკემბერი

**31 დეკემბერი** 1989 წლისა. როგორია იგი ჩემთვის? ეს წელი უმძიმესი იყო მთლიანად საქართველოსთვის, მაგრამ მათთვის უფრო მძიმე, ვისაც ავადმყოფობის ფურცლებით აქვთ ჯიბეები სავსე. მეც ამ ფურცლებიანთა შორის ვდგავარ, მაინც კმაყოფილი ვარ და ვიტყვი: მადლობა უფალს, რომ ამ დღეებს შემასწრო. ჩემი თვალით ვნახე მებრძოლი საქართველო, მისი ხელებით ცას შეწვდენილი ახალგაზრდობა, ერთობლივი სუნთქვა და ძახილი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

ჩვენი დიდი ქალაქების მთავარი ქუჩები სავსეა ხოლმე დაფაციცებული, მიზანსწრაფული ქალიშვილებით და ჭაბუკებით, მაგრამ არავის არ ვეჩოთირები ამ ქუჩებში. პირიქით, თუ ვინმე მიცნობს, გაბრწყინებული თვალებით მეუბნება, რომ ჩვენ კარგად ვართო, ბატონო რევაზ! მე ხელს ვუწევ და ვცდილობ, რაც შეიძლება მეტს გავაგონო: — გაგმარჯვებოდეთ მტერზედა! ჩემი სახე არანაკლებ ბედნიერებას ამჟღავნებს, ვიდრე იმათი, დიდი მიტინგებიდან და ბრძოლის ველიდან რომ უვნებელნი ბრუნდებიან. ჩემი სახე კიდევ იმასაც ამჟღავნებს, რომ სადაც უნდა ვიყო, მე ამ ბობოქარ საქართველოსთან ვარ, თუ სულ ვერაფერს ვაკეთებ, ვლოცულობ მაინც მისთვის.

**რეზო ინანიშვილი**

# ექიმთა ასოციაციის ყრილობაზე

23-24 დეკემბერს მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის სასახლეში შედგა საქართველოს ექიმთა ასოციაციის პირველი ყრილობა.

ყრილობაზე მოწვეული იყვნენ დელეგატები რესპუბლიკის 87 პირველადი ორგანიზაციიდან.

რეგისტრაციაზე დელეგატები ერთმანეთს ეცნობოდნენ, შეხედულებებს უზიარებდნენ და ცნობისმოყვარეობით ელოდნენ ყრილობის მსვლელობას.

მართლაც, ფართო საზოგადოების ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია ასოციაციის კავშირის მასშტაბით ერთ-ერთმა (ასეთი ასოციაცია არსებობს ლიტვაში, მოსკოვში) და რესპუბლიკაში ერთადერთმა პირველმა ყრილობამ.

დასაწყისში ყველაფერი თავისი სპეციფიკით წარიმართა, აირჩიეს ყრილობის ორგანიზატორი — თავმჯდომარე, ხმის დამთვლელი კომისია, სარედაქციო კოლეგია, სამდივნო კომისია.

ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას.

შემდეგ თავმჯდომარემ მერაბ საყვარელიძემ დელეგატებს გააცნო წესდება, რამაც უამრავი შენიშვნა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირის წევრი, ექიმთა ასოციაციის ყრილობის დელეგატი, სამედიცინო ინსტიტუტის V1 კურსის სტუდენტი ზურაბ როჩიკაშვილი. იგი შეეხო ინსტიტუტის ცხოვრების პრობლემებს. ზურაბმა გულისტკივილით აღნიშნა წლევანდელ სასწავლო წელს გატარებული ღონისძიება — ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტის ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებელში. ეს გამოიწვევს სოფლის დაცარიელებას, ისედაც დაცემული ექიმთა ავტორიტეტის შებღალვას. სჭირდება კი საქართველოს ამდენი სპეციალისტი?!

სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე 1600 მსმენელი მიიღეს. ყოველივე ეს ძალზე დიდ ქაოსს ქმნის როგორც აუდიტორიების, სასწავლო ნივთების და სახელმძღვანელოების, ასევე სტუდენტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ერთიანი სულისკვეთების მხრივ.

ყრილობას სიტყვით მიმართა ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტმა ზაზა სიხარულიძემ. მან მოწიწებით აღნიშნა ექიმთა ასოციაციის წვლილი ინვალიდთა მიმართ. ორივე საზოგადოებას მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვს და ეს კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, რადგან ექიმი ინვალიდისთვისაა საჭირო, ინვალიდის არსებობა კი ექიმზეა დამოკიდებული.

ყრილობაზე დელეგატებმა მრავალი პრობლემატური საკითხი წარმოადგინეს. კერძოდ, ისაუბრეს აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების ექიმთა მოქმედებაზე.

ერთ-ერთმა დელეგატმა აფხაზეთიდან ყრილობას პირდაპირ დაუყენა საკითხი აფხაზი ექიმების ალვირახსნილობისა და ქართველი პაციენტებისადმი უსულგულო დამოკიდებულების საპასუხოდ გატარდეს ღონისძიება, მოიხსნას ყველა დაკავებული თანამდებობიდან.

ყრილობის მეორე დღეს გაიმართა ასოციაციის პრეზიდენტის არჩევნები.

ხმათა უმრავლესობით სრულიად საქართველოს ექიმთა ასოციაციის პირველ პრეზიდენტად არჩეული იქნა **გიორგი ლაშქევიანი.**

**მაია სალირაშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი**

P. S. ყრილობას ჰქონდა ზოგიერთი ლაფსუსიც. ხშირად კენჭისყრა და კამათი უაზრო ხასიათს იძენდა, ხმის დამთვლელი კომისია დროულად ვერ აფიქსირებდა მანდატთა რაოდენობას, იყო პირადი ინტერესებით გამოწვეული უკმაყოფილება, რაც უარყოფითად მოქმედებდა დელეგატებზე.

რაიონიდან ჩამოსულთათვის მიკროფონი რაღაც მიუწვდომლად რჩებოდა. მთელი ორი დღის განმავლობაში იგი ხელიდან არ გაუშვიათ სამუშაო ჯგუფის წევრებს. ერთ-ერთმა დელეგატმა ოზურგეთიდან ბრძოლით და უკაცრავად პასუხია, ყვირილით ძლივს მიაღწია სცენამდე, მაგრამ აღელვებულს სიტყვა არ დაამთავრებინა დარბაზმა და მანაც დატოვა ბრძოლით მოპოვებული მიკროფონი...

იმედია, რომ ორგანიზატორები შემდგომში უფრო დახვეწილ და ჩამოყალიბებულ სახეს მისცემენ ყრილობის მსვლელობას.

# მე მჯერა თქვენი



მე მქვია ალექსანდრე ზურაბიშვილი...

მე ვარ ქართველი, ვცხოვრობ პარიზში...

მე მიყვარს საქართველო...

გაუმარჯოს საქართველოს...

ამ სიტყვებით იწყება მისთვის საქართველო...

ეს სიტყვები კი 22 წლის ჭაბუკს, საფრანგეთში დაბადებულ ქართველს, ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილს, ამჯერად საქართველოს სტუმარს ალექსანდრე ზურაბიშვილს ეკუთვნის...

ლაპარაკობს დინჯად, აუღელვებლად და რაც ყველაზე მთავარია, დიდი მონდომებით. სიტყვებს მიღმა კი უკიდურესი დაძაბულობა იგრძნობა...

საქართველოში მეორედ ჩამოვიდა, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მოწვევით.

მისი მამა პარიზის რახმანინოვის სახელობის კონსერვატორიის რექტორია, ცნობილი სიმფონია — „მცხეთის“ ავტორი... დედა რუსი ჰყავს... ალბათ ამიტომ, ფრანგულთან ერთად, რუსულსაც მშვენივრად ფლობს.

ძალიან უნდა, რომ ისწავლოს ქართული ენა, სწორედ ამიტომ პარიზის ეკონომიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სადაც იგი ამჟამად სწავლობს, საქართველოში უნდა სწავლის გაგრძელება, უნდა, რომ მეტი იცოდეს საქართველოზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე...

ეს სამომავლოდ...

დღეს კი ალექსანდრე ზურაბიშვილი ახალ 1990 წელს ულოცავს საქართველოს ახალგაზრდობას:

**მიუხედავად იმისა, რომ მე საფრანგეთში დავიბადე... მე ქართველი ვარ... მე ვამაყობ ამით... მე მომიზიდა ჩემმა ქვეყანამ და მოვედი, აქა ვარ, თქვენთან ერთად და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ არ დაგკარგოთ.**

**მე მაღელვებს საქართველოს ყოველდღიურობა...**

**ჩემო თანამემამულენო, იყავით მშვიდნი და არა მორჩილნი...**

**მე მჯერა თქვენი და მწამს მომავლის... მინდა რომ საქართველო ყველგან და ყველამ გაიცნოს.**

**გისურვებთ დიდ ბედნიერებას...**

**გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს...**

**მე ვფიქრობ თქვენზე... და მწამს, რომ ჩვენი მამული აყვავდება.**

**მარინე დონაძე**

# მოსწავლეები ითხოვენ...

თბილისის 108-ე რუსულ საშუალო სკოლაში უფროსკლასელთა ასოციაცია შეიქმნა. ამ ასოციაციის თავმჯდომარეა XI კლასის მოსწავლე ნინა მეტალიკი.

სხვა საკითხებთან ერთად ასოციაციის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია რუსულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და კულტურის შესწავლა.

ასოციაცია სულ ორიოდე კვირაა რაც შეიქმნა, იმ დღეს, როდესაც ჩვენ ვესტუმრეთ, ლექციის ჩასატარებლად მოწვეული ჰყავდათ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იულიონ გაგოშიძე, რომელმაც უკვე რამდენიმე ლექცია ჩაუტარა მოსწავლეებს, ბავშვებიც ცდილობენ მეტი გაიგონ და ისწავლონ იმ ქვეყანაზე, სადაც ცხოვრობენ, გაეცნონ იმ ხალხის სულიერ სამყაროს, რომელმაც ჰერი და ფუძე გაუყო...

საუბრისას მოსწავლეებმა უამრავი საინტერესო საკითხი წამოჭრეს, გაგვაცნეს თავიანთი მოთხოვნები: — ქართული ენის სწავლების ასპექტი ითვალისწინებს მისი გრამატიკული და ანალიზური სწავლების მხარესაც, რასაც შეუძლებლად მივიჩნევთ სალაპარაკო ენის არცოდნის გამო. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია მეტი ყურადღება დაეთმოს სალაპარაკო ენის სწავლებას, რისთვისაც შესაძლებელია გამოიძებნოს დამატებითი საათები, როგორც ოფიციალური გაკვეთილების, ასევე დამატებითი ფაკულტატური მეცადინეობის ხარჯზე.

— საკმარისად არ მიგვაჩნია მხოლოდ ქართული ენის სწავლება და გვაქვს სურვილი უკეთ ვიცნობდეთ ქართველთა ისტორიას, კულტურას. გთხოვთ, გამოძებნოთ სახსრები იმ ისტორიკოსთა, ფილოლოგთა, კულტურის მოღვაწეთა შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც სისტემატურად ჩაგვიტარებენ ლექციებს, დაგვეხმარებიან უკეთ გავეცნოთ ქართველებს და მათ სულიერ სამყაროს.

— ახლო მომავლისთვის აუცილებლად მიგვაჩნია გამოიცეს რუსული სკოლებისათვის უფრო შინაარსიანი სახელმძღვანელოები.

— მოვითხოვთ ჩამოთვლილ საკითხთა დადებითად გადაწყვეტას, ამავე დროს კარგად გვესმის საკუთარი პასუხისმგებლობა ქართული ენის, ისტორიის, კულტურის შესწავლასა და გაცნობიერებაში, ვგრძნობთ პასუხისმგებლობას თვით ქართველი ხალხის წინაშე და შევეცდებით მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომი საშუალება...

მოსწავლეებს დიდი სურვილი აქვთ მეგობრობა დაამყარონ ქართულ სკოლებთან, მათთან ერთად დაათვალიერონ საქართველოს ღირსშესანიშნაობანი, იარონ ერთად კინო-თეატრებში, რათა ყოველდღიურ ურთიერთობაში მეტად გაიცნონ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს. გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგეს. სკოლაში შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი წრე, როგორც მშობლებისთვის, ასევე მასწავლებელთა ერთი ნაწილისათვის.

ბავშვებსაც და პედაგოგებსაც იმედი აქვთ, რომ ამ საკეთო საქმეში სხვა რუსულენოვანი სკოლებიც აუბამენ მხარს.

**მაია სეთურიძე**

# 1989 - თვალის ერთი გადავლებით

წელს, თებერვალში, ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა. დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის 900 წლისთავი. 28 თებერვალს (ძველი სტილით 26 ინავარი) დავით აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს დიდი ზეიმი იყო.

დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა ყოფილ პლეხანოვის პროსპექტს. 8 თებერვალს რესპუბლიკის მოედანზე საძირკველი ჩაეყარა აღმაშენებლის ძეგლს (თუმც ძეგლის აქ დადგმის იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს).

შეიქმნა დავით აღმაშენებლის საზოგადოება.

●

**18 მარტს გაიხსნა რუსთაველის საზოგადოების პირველი ყრილობა, რომელმაც ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია აკაკი ბაქრაძე. სხვადასხვა მიზეზების გამო, მეორე დღეს ყრილობამ მუშაობა შეწყვიტა ისე, რომ არ მიუღია სამუშაო პოგრამა და წესდება.**

**4 სექტემბერს გაიხსნა და 3 დღე მუშაობდა რუსთაველის საზოგადოების მეორე ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა საზოგადოების წესდება და სამუშაო პროგრამა. დაარსდა გაზეთი „მამული“.**

●

18 მარტს სოფელ ლიხნში ჩატარდა აფხაზთა მიტინგი, რომლის უპირველესი მოთხოვნა იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფა საქართველოდან და მისთვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება. ცხადია, ქართველები გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ ამ ფაქტს და 25 მარტს სოხუმში შედგა ქართველთა საპასუხო მიტინგი, აქვე გაირკვა, რომ ამგვარივე აქცია ჩატარებულიყო ლესელიძეშიც, რომელიც შემდეგ დარბეულ იქნა.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 მაისს № 33 განკარგულებით სოხუმში შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი.

15-16 ივლისს კი სოხუმში მოეწყო სისხლიანი შეტაკებები აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის. ამ შეტაკებების საბაბი გახდა აფხაზი ექსტრემისტების მიერ რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლის დარბევა. ამ ტრაგედიის მსხვერპლი გახდა 13 ქართველი, 5 აფხაზი, ერთი რუსი და ერთი სომეხი მოქალაქე. მრავალი ადამიანი (მათი უმეტესობა ქართველებია) დაიჭრა და დაშავდა.

დღესდღეობით აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის 44 პროცენტს შეადგენენ ქართველები, 17 პროცენტს — აფხაზები. თანამდებობის პირთა უმრავლესობა კი აფხაზია.

●

**26 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები. წელს პირველად ერთ სადეპუტატო მანდატზე კენჭი უყარეს რამდენიმე კანდიდატურას. ქართველმა ხალხმა სახალხო დეპუტატებად აირჩია რამდენიმე ალტერნატული კანდიდატი. მიუხედავად ამისა, ჩვენი დეპუტაცია ზედმეტად მუნჯურ-ყრუ-გლეხური და თანამდებობრივი (თანაც დღეს უკვე გადამდგარი თანამდებობის პირებისგან შემდგარი) გამოვიდა. ეს კიდეც გამოჩნდა არაერთგზის სახალხო დეპუტატთა პირველ თუ მეორე ყრილობაზე. და ეს, ალბათ, არჩევნებისადმი მთავრობის მხრივ განსაკუთრებული „მზრუნველობითაც“ იყო განპირობებული.**

# 1989-თვალის ერთი გადავლებით

9 აპრილს, თბილისში, მთავრობის სახლის წინა მოედანზე მოხდა მშვიდობიანი დემონსტრაციის მხეცური დარბევა, რომლის დროსაც დაიღუპა 19 ადამიანი. მათ შორის 16-დან 70 წლამდე ასაკის 16 ქალი (ერთი ფეხმძიმე), ათასობით მომიტინგემ ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის, ტრავმების, დაჟეჟილობის, ჭრილობებისა და მოტეხილობის გამო მიმართა სამკურნალო დაწესებულებებს. მათგან 583 სტაციონარებში მოთავსდა.

9 აპრილს შემოღებულ იქნა კომენდანტის საათი, რომლის გამოცხადებიდან ნახევარი საათის შემდეგ „წესრიგის დამცველმა" სამხედროებმა მიჯრით სროლით მოკლეს ახალგაზრდა.

15 აპრილს ქართველმა ხალხმა უკანასკნელ გზაზე გააცილა 9 აპრილს დაღუპულები. დაკრძალვის დროს მოეწყო სამგლოვიარო მიტინგები.

თბილისში კომენდანტის საათი გაუქმდა 18 აპრილს.

●

**9 აპრილის ტრაგედიისას მოწამლულთა მოსანახულებლად 22 ივნისს თბილისში ჩამოვიდა ნობელის პრემიის ლაურეატი დედა ტერეზა. მისი წასვლის შემდეგ თბილისში დარჩა ორდენის რამდენიმე და, რომლებიც მოწყალების სამსახურს დღემდე ეწევიან.**

●

14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ".

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის თხოვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. გ. გუმბარიძე.

ასევე გადადგა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. ჩხეიძე. მის ადგილზე დაინიშნა ნ. ა. ჭითანავა, რომელიც მანამდე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა ე. ა. შევარდნაძემ.

●

**19 აპრილს მეწყერისა და მდინარე ჩარუხის კალაპოტის გადაკეტვის შედეგად დაიტბორა და დაინგრა საცხოვრებელი სახლები აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში. მიწის ქვეშ აღმოჩნდა ოთხი სახლი, სადაც ცხოვრობდნენ შაინიძეებისა და დავითაძეების ოჯახები.**

**მეწყერმა დაიტანა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც მიდიოდა სოფელ ხიხაძირიდან.**

**ხულოს რაიონში დაინგრა 89 სახლი, დაიკარგა 3250 ჰექტარი მიწა. 479 სახლში შეუძლებელი შეიქმნა ცხოვრება.**

**28 აპრილი საქართველოში გამოცხადდა გლოვის დღედ.**

**აჭარელთა დასახმარებლად გაიხსნა ანგარიში ბანკში, რომლის ნომერია 270057**

●

კახეთში, სიღნაღის რაიონში, ძველი ნაქალაქარის ადგილას საფუძველი ჩაეყარა სოფელ ხორნაბუჯის აღორძინებას, მაგრამ, როგორც ბევრი „ღონისძიება", მასაც უჭირს დამკვიდრება. ყოველ შემთხვევაში, ეს პატრიოტული წამოწყება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საფრთხეშია.

# მოგონებად ძველი ჰარმონიის დასამშა-რებლად




„საქართველოს, ქართველ ხალხს არც ერთ დროსა და არც ერთ ეპოქაში არასოდეს მოჰკლებია იაზონთა მოზღვავება და ცდა, განეძარცვათ ქართული სულიერი და მატერიალური საგანძური.

ქართველი ერის ისტორია, მისი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა არის ბრძოლა ოქროს საწმისის, — მიტაცებული განძის, წართმეული თავისუფლების დასაბრუნებლად!..."

ამ სიტყვებში გაცხადებულია მიზანიც და მიზეზიც, რომელიც საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გაზეთს „ოქროს საწმისს" არსებობის უფლებას აძლევს...

გაზეთის პირველივე ნომერში იბეჭდება მასალები საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ფუნქციებსა და პრინციპებზე, 1989 წლის ივლის-აგვისტოს სისხლიანი ტრაგედიის მიზეზებსა და შედეგებზე.

„ოქროს საწმისში" დაბეჭდილია მერაბ კოსტავას, ვოვა ვეკუასა და სოსო ადამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები.

რუბრიკით — „სისხლის მინდორი" იბეჭდება ივლის-აგვისტოს ტრაგედიის უშუალო მონაწილეთა და თვითმხილველთა ნაამბობი, ესაა ჩვენთვის შეუჩვეველი სიმართლით დაწერილი წერილები, რომელთაც არცთუ დიდი ხნის შემდეგ მატიანეს დაარქმევენ.

როცა იუდამ, რომელმაც გასცა იესო, დაინახა, რომ მას მსჯავრი დაადეს, ინანა, დაუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებს და უხუცესებს და უთხრა: შევცოდე რომ უდანაშაულო სისხლი გავეცი... — „ოქროს საწმისის" პირველი ნომერი იძლევა იმის ფიქრის საშუალებას, რომ შენიანი, კაცი იქნება თუ ჯგუფი, რომელიც მოსაკლავად გიმეტებს, მოინანიებს თავის დანაშაულს და მიტევებას ითხოვს.

სხვა უფრო დიდი დანიშნულება ალბათ არც „ოქროს საწმისს" აქვს...

**ქეთევან სადღობელაშვილი**



# მილოცვა ქართულად

ხმელთაშუა ზღვაში, მეტად ეგზოტიკურ ბალეარის კუნძულებზე, კერძოდ, მთავარ ქალაქ პალმაში შარშანდელი წლის ქრისტეშობისთვის დამდეგიდან ორი კვირის მანძილზე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის მეორე გათამაშების ბოლოსწინა შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, საბჭოთა ტურისტებისთვის თითქმის ყველაფერი საინტერესო და უჩვეულო იყო და ჩვენც ვეცადეთ ყველაფერი დაგვეთვალიერებინა, რისი ნახვის საშუალებაც გვქონდა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჟურნალისტებს, მოჭადრაკეებისა არ იყოს, დრო ერთობ შეზღუდული გვქონდა — ტურნირის მსვლელობისთვის ხომ უნდა გვედევნებინა თვალი — და ბევრი საინტერესო რამ დაუთვალიერებელი დაგვრჩა. ისღა „გვაიმედებდა", რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი საბჭოთა ტურისტების ჯგუფის წევრები მოკლედ გვიამბობდნენ ნანახსა და განცდილზე.

მაგრამ ახლა სულ სხვა რამეზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. სამშობლოში დაბრუნება შობისწინა დღეებში მოგვიხდა. პალმის აეროპორტის შენობაში, ფოიეს ცენტრში იდგა უზარმაზარი ნაძვის ხე, რომელიც ორიგინალური „სათამაშოებით" იყო მორთული — მასპინძლები მსოფლიოს რამდენიმე ენაზე ულოცავდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს მომავალ საშობაო და საახალწლო დღესასწაულებს.

იქნება თუ არა მილოცვა ქართულ ენაზე? და აი, მივაგენით! ესპანელ მასპინძლებს არც ჩვენი ძირძველი ენა დავიწყებიათ და არც ამ ენაზე მოუბარი ხალხი. ნაძვის ხის ერთი „ფრაგმენტი" თქვენს წინაშეა. ისღა დაგვრჩენია, ყველა ქართველის სახელით გულწრფელად მივულოცოთ მთელ ესპანელ ხალხს, ბალეარის კუნძულების მკვიდრთ შობა-ახალი წელი, სიხარული და სიკეთე ვუსურვოთ.

**დავით ბელიძე**

## გიორგი ქუჩიშვილი
# მეკვლე

მეკვლე ვარ! კარი გამიღეთ!
მოვდივარ გახარებული! —
უწინამც თვალი დამიდგეს,
თუ დამხვდით აცრემლებული!
მოვდივარ, მოვაფრიალებ
ახალ-წლის დროშა-ალამსა;
აღტაცებული გიგზავნით
ძმობა ერთობის სალამსა!
მოვალ, თან მომაქვს სიამე,
გულითა მხიარულითა!
ღმერთმა გაშოროთ სიმწარე,
აგავსოთ ტკბილეულითა!

იცოცხლეთ, ბედნიერეთ, —
ნუ დაეცემით სულითა;
წინ დახვდით ჭირს და განსაცდელს
გაუტეხელის გულითა!
მოვდივარ! მომიხარიან!
გილოცავთ ხონჩა-ძღვენითა!
ღმერთმა მრავალს წელს
დაგასწროთ,
აგავსოთ შვება-ლხენითა!

გაზეთი „ერთობა", 1 იანვარი 1921 წ.

## მაყვალა გონაშვილი
# დაბრუნება საკუთარ თავთან

არა, აღარ შემიძლია
ასე ყოფნა-გაძლება,
ვგრძნობ სინათლის სიახლოვეს
და თითები მაზრება.
გავუყარე თვალი თვალში
შუშისთვალა მაცილებს,
ეს თმენა და ეს ტკივილი
გოლგოთისკენ მაცილებს.
თავს რად ვებრძვი, ბოლოს
მაინც
ვიცი, გავიწირები,
თუმც დანაღმულ ჩემს
სხეულში
კივის ტრადიციები.
დამებინდა ღმერთო, სული
ნისლოვანი ბლონდებით,
ვიძირები ცრემლებში და
ჩემს თავს ვუახლოვდები.

●

როგორც იქნა ნანატრი
სიყვარულიც მოვიდა,
სულში მაინც ფრთხიალებს
სევდა მარადიული,
ვნებით ყოველდღიურით,
ტანჯვით ყოველდღიურით,
ჯვარცმით ყოველდღიურით
ყელთამდეა დღიური.
აჰა. ჩემი გიშრის თმა,
დაწყვეტილი სიმები,
აჰა, ჩემი თვალები,
ლოცვით მოქანცულები,
აჰა. უარყოფილი
შენი დიდი ერთგულებისთვის
გზაჯვარედინს შემდგარი
ურჩი უფლისწულები.
რა გზებისთვის მამზადებ?
საით, საით, განგებავ?
ნეტავი რა მომელის,
ზესკნელი თუ ქვესკნელი?
ახლა ჩემი ეჭვების
ადვილია გაგება,
რადგან ეს სიყვარული
არის უკანასკნელი.
უნდა შენთვის ვიცოცხლო,
უნდა შენთვის დავიწვა,
უნდა სხივით აგივსო
დღეები უწადილო,
მზად ვარ განსაცდელისთვის,
რას მიბრძანებ, ბატონო,
მძიმე ჯვარის ტარება
როგორ გაგიადვილო?

ბედი ვისკენ გადიხრება?
დაამარცხებს ვინ ვის?
გამარჯვების ფასი მხოლოდ
წაქცეულმა იცის,
დრო გაივლის, გარდიხსნება
ცხრავე კარი მიწის,
წუთისოფლის ფასი მხოლოდ
განწირულმა იცის.

### აბა, ჩემო მანასეო

ერთი ფასი აქვს, იცოდეთ,
ცოდვას ჩუმსა თუ გამხელილს,
რამდენ სიმართლეს ახშობდნენ,
ქვეყნად სიმართლის სახელით,
ადვილი არის წარსულის
განსჯა და გაქიაქება.
ისევ ის კილავს გუშინდელს
ვინც ასე გულით აქებდა.
დღე ღამეს ცვლიდა, ღამე დღეს,
ხან ისე იყო, ხან ასე,
გუშინ რომ ციქად მხვდებოდა,
ახლა მიღიმის მანასე,
მან უკეთ იცის ყოველი,
რაც იყო, ანდა რაც არის,
ახლაც ჭკუას და კარგ ქცევებს,
ისევ მანასე მასწავლის.
ამ ჭკვიან კაცებს ნეტავი
სანამდის უნდა ვეფეროთ?
მე იმ ბალღის მწამს,
რომელმაც,
სთქვა, შიშველია მეფეო.

### წერილი გავშვთა სახლის ბინადარს, ჩემს პატარა დობილს

ბარათს შემორჩენია
სითბო შენი თითების,
მწერ. რომ სული სავსე გაქვს
ზღაპრებით და მითებით.
რომ ზაფხული კვლავ გხიბლავს
ჯადოსნური ფერებით,
მაგრამ სევდა. რომ გაღრჩობს,
რატომ არ იწერები.
ვიცი. როგორც გვირილა,
შეუმჩნევლად იზრდები,
ღამე მოჩითულია
ორემლნარევი სიზმრებით.
შვილებს, როგორც ღმერთები,
მთარველობენ დედები,
შენ კი, სადაც გაივლი,
ეკალს გამოედები.
როცა ქარიშხალია.
კლდიდ დგებიან მამები.
შენ კი ჭორს და ავ ენებს
ეერსად დაემალები.
ჰოი, გზები გელიან
რა ცვიცაბო, რა წვრილი,
დაგეოლება ხელები
ცისკენ ლოცვად გაწვდილი.
თუკი დობას მფიცავდი,
გვქონდეს სევდაც ზიარად,
შენი ცრემლი თვალებს მწვავს,
მტკივა შენი იარა.
რა ვქნა, როგორ დავიცვა
შენი სულის ყვავილი,
როგორც გიშრის გულქანი
ან ნაკურთხი მარილი,
აჰა, ჩემი სტრიქონი
მთვარით შენალოცები,
სავსე ნატვრით, სიკეთით,
სურვილით და ოცნებით.
მინდა ავი თვალისაგან
ეს სტრიქონი გფარავდეს,
სიზმარეთში შიშისგან
რომ არ დაპატარავდე.
მალე მრუმე პერანგი
სხივით გაგიხუნდება,
მალე მამაც მოგძებნის,
დედაც დაგიბრუნდება.

### იმ ერთის გარდა

მოგდევს ქუჩები ვნებიან
მზერით,
შენი საყურეც მზესავით ელავს
და იმის გარდა, ვინც შენ
გიყვარდა.
საოცარია, უყვარხარ ყველას.
დარბაზი სავსე თმენით,
ტკივილით.
შენი ლექსები იქცა თილისმად
და გულისყურით გისმენს
სუყველა.
ვისთვისაც წერდი, გარდა იმისა.
როცა გაჰყვები გზებს
უკვდავების,
ჩამოეშვება მწუხარე ფარდა,
სუყველა მოვა და დაგიტირებს,
ვისთვისაც მოკვდი, იმ
ერთის გარდა.

### სიმღერა უმუსიკოდ

აღარ მჯერა შენი სიტყვის,
აღარც შენი ფიცის,
სიყვარულის ფასი მხოლოდ
მარტოსულმა იცის,
მიყვარს როცა ვარსკვლავები
დაიწყებენ ციმციმს,
ცაში ფრენის ფასი მხოლოდ
ფრთებდაჭრილმა იცის,

## 1989-თვალის ერთი გადავლებით

**12 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აჭარაში ჩავიდა. მან მოინახულა ამ მხარის ეკლესია-მონასტრები. ამ დღეს საზეიმოდ გაიხსნა ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ათასობით ადამიანი მოინათლა.**

**16 მაისს ილია II მოინახულა ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონები. ხხალთის ტაძარში მოეწყო შეხვედრა მთიანი აჭარის მოსახლეობასთან.**

●

18 მაისს რუსთაველის საზოგადოებას გამოეყო დემოგრაფიული ფონდი და ეწოდა „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება". ამავე დღეს კინოს სახლში გაიმართა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია.

●

**25 მაისს გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა, რომელზეც შეიქმნა თბილისში 9 აპრილს მომხდარ ამბებთან დაკავშირებული გარემოების შემსწავლელი კომისია. ჩვენი დეპუტაციიდან ამ კომისიაში შევიდა კინორეჟისორი ელდარ შენგელაია.**

●

26 მაისს საქართველოს პროგრესულმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

დიდი მიტინგი გაიმართა უნივერსიტეტთან. შემდეგ კოლონა რიყისკენ გაემართა. 9 აპრილის მოედანზე (მოვლენებს ვუსწრებთ — ალბათ ასე უწოდებენ თავის დროზე მთავრობის სასახლის წინ მდებარე მოედანს) დაღუპულთა პატივსაცემად დროშები დაბლა დახარეს.

ამ დღეს მიტინგები გაიმართა სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში...

●

**2 ივნისიდან 27 ივნისამდე საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოაწყო მორწმუნეთა სვლა წმინდა ნინოს ნაკვალევზე — ფარავანის ტბიდან ვიდრე მცხეთამდე.**

●

ივნისის მესამე დეკადაში მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში მოხდა აზერბაიჯანელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ორგანიზებული შეიარაღებული თავდასხმები ქართველ მოსახლეობაზე.

●

**21-23 ივნისს გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა. წინაალმდეგობებით იყო სავსე ფრონტის გზა დაფუძნებამდე. ყრილობამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია პროფესორი ნოდარ ნათაძე. გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „საქართველომ".**

●

13 ივლისს მცხეთაში, არაგვისა და მტკვრის შესართავთან მოეწყო საყოველთაო ნათლობა. ამ დღეს აქ ქრისტეს რჯულზე მოინათლა ათასობით ადამიანი.

●

**წელს ქართული სათვისტომოები შეიქმნა მოსკოვში, ლენინგრადში. მოსკოვში გაიხსნა პირველი ქართული საბავშვო ბაღი.**

●

1989 წლის 6 ივლისს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება საქართველოს ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის სახელწოდებათა აღდგენის შესახებ. გეგეჭკორს დაუბრუნდა ძველი სახელი მარტვილი, მახარაძეს — ოზურგეთი, ორჯონიკიძეს — ხარაგაული, ცხაკაიას — სენაკი, წულუკიძეს — ხონი.

# საქართველოს დამოუკიდებელ შემოქმედთა კავშირის საახალწლო მიმართვა

## სრულიად საქართველოს ახალგაზრდობას

მოგმართავთ სრულიად საქართველოს ახალგაზრდობას — ერის მომავლის განმსაზღვრელსა და უპირველეს ძალას: დასრულდა 1989 წელი, სისხლიანი და ცრემლიანი ქართველებისათვის, მაგრამ ამავე დროს მორალური და სულიერი აღზევების წელი. დაიღვარა ჭეშმარიტ პატრიოტთა სისხლი, სისხლი წმინდა და მკვებავი იმ წმინდა იდეების განხორციელებისა, რისკენაც აგრერიგად მივისწრაფვით. 9 აპრილი ერმა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ფურცლებს შეუერთა, როგორც ქართველობის მორიგი გენოციდი და, და როგორც დიდი გამარჯვება, უპირველესყოვლისა მორალური.

ამ გამარჯვებამ შეაცბუნა არსებული რეჟიმი, მიხვდა, აპრილის დღეებმა არა თუ დათრგუნა ეროვნული ძალები, არამედ უფრო აავზირთა და მრისხანე გახადა, ამიტომაც სწრაფად გამოინახა ანტიქართული მორიგი აქციები, კერძოდ, ეთნოკრიზისები აფხაზეთში, ქვემო ქართლსა და ისტორიულ სამაჩაბლოში, გარდა ამისა ფეთქებადი კერები შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ეთნოსში. ჩვენდა სასახელოდ, ერმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, ალღო აუღო შექმნილ სიტუაციას და მახვილი მიმართა არა მოტყუებული ხალხისკენ, არამედ მათი წამქეზებლისაკენ, არსებული იმპერიისაკენ.

დღევანდელ პირობებში დიდ გმირობად მიგვაჩნია, ახალგაზრდების ერთი ნაწილის მიერ წითელ არმიაში სამსახურზე ბოიკოტის გამოცხადება — სრულიად სამართლიანი პროტესტი, რომელიც ეყრდნობა 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებას.

კვლავაც გვაოცებს სამხატვრო გალერიის წინ მჯდარი შაოსანი დედების ბედი, სიმართლის მაძიებლებს ხალხის აქტიური მხარდაჭერა ესაჭიროება, მართლაც რომ შემზარავი სანახავია ზამთრის სუსხიან ამინდებში ჩამომჯდარი თვალცრემლიან მოხუც ქალთა ცქერა.

თითქოს ბუნებაც შეეკრა ქართველების მტრებს, ბოლო წლებში საქართველოს უმძიმესი სტიქიური მოვლენები დაატყდა თავს, ჯერაც არ გამშრალა ქართველის თვალზე აჭარაში დატრიალებული სტიქიური უბედურების გამო გადმოდინებული ცრემლი. ტირის სვანეთი, ტირის რაჭა, უჭირს მთელს საქართველოს.

საქართველოს საერთო ტკივილს აძლიერებს ობლად დარჩენილი მთა, ავის მომასწავებელი მდუმარება გამეფებულა ოდესღაც სიცოცხლით სავსე ქართულ სოფლებში, პერიფერიებს აკლია ახალგაზრდა სპეციალისტთა ხელი, მაშინ, როდესაც თბილისის ქუჩებში მრავლად შეხვდებით სამსახურის ძებნაში თვალებამოღამებულ, პროფესიადავიწყებულ ახალგაზრდებს, როდესაც ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უარს ამბობს რაიონებში სამუშაოდ წასვლაზე, მწარე ღაღადით გვიხმობს მამა-პაპათა ჩამქრალი კერები.

ქართველი ხალხის მტრებმა, რომელთაც სურთ წაშალონ საქართველო ისტორიის რუქაზე, აშკარად დაგვანახა თავისი ნამდვილი სახე, მათმა მეცადინეობამ საქართველოში დაძაბა პოლიტიკური ვითარება.

დღეს, როცა წყდება ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი და საჭიროებამ მოითხოვა გონივრული ნაბიჯების გადადგმა, ქართველმა ახალგაზრდობამ დაამტკიცა, რომ არ უწერია სიკვდილი წინაპართა გმირული სულის მადლცხებულ გენს.

თქვა რა თავისი გადამწყვეტი სიტყვა საქართველოში შექმნილი ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში, ქართველი ახალგაზრდობა გახდა, აგრეთვე, ეროვნული მოძრაობის ავანგარდი.

დედა-სამშობლოს ჩვენს [illegible] აქვს მოპყრობილი გადარჩენისათვის მავედრებელი თვალები, ამიტომ ყოვლად დაუშვებელია ახალგაზრდობის იმ ნაწილის მოქმედება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების ნირით ძალას აცლიან საქართველოს ეროვნულ მოძრაობას. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მრავლადაა დანაშაულობანი, რომლებიც წყალს ასხავენ მტრის წისქვილს. ისეთი სოციალური ბოროტება, როგორიცაა ლოთობა და ნარკომანია, დღეს ეროვნულ ტკივილად აღიქმება. ხშირია ახალგაზრდებს შორის ისეთი ურთიერთდაპირისპირებები, რომელთაც მივყავართ მკვლელობამდე. ეს კი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმ ერთსულოვნებას, რომელიც საჭიროა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. საქართველოს ბედი, თითოეულ ჩვენთაგანზეა დამოკიდებული, ამიტომ ნებისმიერი დანაშაულებრივი მოქმედება ქართველი ახალგაზრდის მიერ უნდა ჩაითვალოს ერის ღალატად.

საქართველოს დამოუკიდებელ შემოქმედთა კავშირი მიმართავს ყველას:

ვისაც ჯიბეს დანა გიმძიმებთ, რომელიც თქვენდა უნებურად მოყვასის სიცოცხლეს ემუქრება, ამოიღეთ და გადააგდეთ. თუ საჭიროება მოითხოვს, ერთად აღვმართოთ მახვილი მტრის გულში ჩასაცემად.

ვინც წილნაყარია ნარკომანიის მომაკვდინებელ სენთან, ზურგი აქციეთ სატანას, მოტრიალდით სიცოცხლისაკენ და მთელი ჯანი სამშობლოს თავისუფლებას შეალიეთ.

ვინც გაძლიერებულ ლტოლვას ამჟღავნებს ალკოჰოლისადმი დაგმეთ მანკიერება და ფხიზელ გონებით ჩადექით მებრძოლ ახალგაზრდათა რიგებში.

საქართველოს დამოუკიდებელ შემოქმედთა კავშირი მოგმართავთ იმათაც, ვინც პასიურ დამოკიდებულებაშია ეროვნულ მოძრაობასთან. გაიხსენეთ, რომ მხოლოდ ის ერი მოიპოვებს თავისუფლებას, რომელიც იბრძვის.

მოგმართავთ სრულიად საქართველოს სტუდენტობას, საფუძვლიანად დაეუფლოთ თქვენს სპეციალობას, ყოველდღიურად აიმაღლოთ პროფესიული დონე, რადგან ცოდნა — არის ის ფარი, რომელიც ეროვნული მოძრაობის მახვილთან ერთად გამარჯვებას მოგვაპოვებინებს; განსწავლის წლებში დაგროვილი გამოცდილება მოახმაროთ საქართველოს მთისა და ბარის, მისი ყოველი მტკაველი მიწის აყვავება-აღორძინებას.

მოგიწოდებთ სრულიად საქართველოს ახალგაზრდობას ერთობისაკენ, რადგან მხოლოდ ჩვენი ერთ მუშტად შეკვრა იქნება ის ფესვი, რომელზეც თავისუფლების ხე უნდა ამოიზარდოს, ნუ გამოვაცლით ძალას იმ მაჯას, რომელმაც თავისუფლების დიადი დროშა უნდაააფრიალოს საქართველოს ცაზე. მოგიწოდებთ ყველას, გაერთიანდეთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ირგვლივ ვიყოთ ღირსნი ჩვენი მამულის. დაე, თითოეული ჩვენთაგანი ჩაკირულ ქვად შევერწყათ იმ წმინდა ტაძარს, რასაც თავისუფალი საქართველო ჰქვია.

მოგიწოდებთ ყველას, არ დაიშუროთ ძალა და ენერგია, რათა გამოღვიძებული თაობა გამარჯვებულ თაობად ვაქცეთ.

გვეკმაროს სისხლი და ცრემლი.

ახალი 1990 წელი ყოფილიყოს თქვენი პირადი წარმატებების წელი!

ყოფილიყოს ქართველი ხალხის დიადი გამარჯვებების წელი!

ღმერთი გვფარავდეს სანუკვარი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე!

საქართველოს დამოუკიდებელ შემოქმედთა კავშირის სახელით:

**მალხაზ დავითაშვილი**
**ეკა კორაშვილი**
**მალხაზ მაისურაძე**
**გელა კობეშავიძე**
**კოტე ჰიჭინაძე.**

**ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდში.**

# ასტროლოგია და თანამედროვეობა

**შეკითხვებს პასუხობს „სულიერი აღორძინებისა და ადამიანის ჰარმონიული განვითარების" ასოციაციის ასტროლოგიის სექციის წევრი ზურაბ კარბელაშვილი. მასთან ერთად ასტროლოგიურ რუბრიკას გაუძღვება ამავე სექციის წევრი დავით ჩიხლაძე.**

●

**— რას გვეტყვით ასტროლოგიის შესახებ ზოგადად?**

— პირველ რიგში, მინდა მოგახსენოთ, რომ ასტროლოგია არ არის ცრუმეცნიერება, როგორც აქამდე ჩვენში ითვლებოდა; მით უფრო, ეს არ არის ცრუმორწმუნოება და ვულგარული მკითხაობა. ასტროლოგია სერიოზული და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მეცნიერებაა, რომელიც მეტად სასიკეთოდ შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა თავისი მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში.

სხვათა შორის, სანამ ჩვენთან ასტროლოგიას სდევნიდნენ და ცრუმორწმუნეობას სწამებდნენ (რაც არა მარტო ასტროლოგიაზე შეიძლება ითქვას — გავიხსენოთ თუნდაც, გენეტიკა, კიბერნეტიკა და სხვა), დასავლეთის მეცნიერთა წყალობით მან ხალხს დიდი სიკეთე მოუტანა.

ასტროლოგიის უმთავრესი დანიშნულებაა, დაეხმაროს ადამიანს თვითგამორკვევასა და საკუთარი თავის შემეცნებაში.

მეტად მნიშვნელოვანია ასტროლოგიის ერთ-ერთი დარგი — სამედიცინო ასტროლოგია. პლანეტები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. მთვარე ოკეანეების მიმოქცევას იწვევს და ადვილი წარმოსადგენია მისი მოქმედება ჩვენზე, ჩვენს ფიზიოლოგიასა და ფსიქიკაზე, თუ გავიხსენებთ, რომ ადამიანი დაახლოებით 70 პროცენტი წყლისგან შედგება.

სამედიცინო სფეროს გარდა, ასტროლოგია დასავლეთში ფართოდ გამოიყენება როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე განათლების დარგში, ეკონომიკაში და სხვა. მაგალითად, ფინანსისტი მაგნატები არც ერთ სავაჭრო გარიგებას არ ახდენენ პროფესიონალი ასტროლოგის რჩევის გარეშე. ჩემი აზრით, აღნიშნული გამოცდილების უგულვებელყოფა დღეს მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.

**— რა მდგომარეობაშია დღეს ასტროლოგია საერთოდ საბჭოთა კავშირში, და კერძოდ — საქართველოში?**

— ასტროლოგია ჩვენში ერთობ სავალალო მდგომარეობაშია, რაც, რა თქმა უნდა, განაპირობა ათეული წლების მანძილზე მისმა დევნამ. ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ მეცნიერების ამა თუ იმ სფეროს განვითარების შეზღუდვა ტოტალიტარული სისტემისათვის ნორმალური მოვლენაა.

მიუხედავად აღნიშნული დაბრკოლებისა, საბჭოთა კავშირში ასტროლოგიის სფეროში ბრწყინვალე სპეციალისტების მცირერიცხოვანი პლეადა მუშაობს. ამათგან უპირველეს ყოვლისა, მინდა ვახსენო მიხაილ ლევინი, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ თბილისში ასტროლოგიის შესახებ ლექციების მოკლე კურსი წაიკითხა: ასევე წარმატებით მუშაობენ ამ სფეროში პაველ გლობა — მოსკოვში; იონას მალიუკიავიჩუსი — ლიტვაში და სხვა.

ძველ საქართველოში ასტროლოგია განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა. ამაზე მეტყველებს მრავალი ასტროლოგიური შინაარსის ქართული ხელნაწერი, ლიტერატურული ძეგლები („ვეფხისტყაოსანი", „ვისრამიანი", ვახტანგ VI-ის, სულხან საბა ორბელიანის თხზულებანი და სხვა), ფრესკები (მაგ; სვეტიცხოველში). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართული სამღვდელოება არ უარყოფდა ასტროლოგიას. ასტროლოგიური შინაარსის ტრაქტატები შესულია სასულიერო თხზულებათა კრებულებში (მაგ; „მცხეთური ხელნაწერი", ანასტასი სინელის „წინამძღვარი", თომა იერუსალიმელი პატრიარქის „წმინდა სარწმუნოებისათვის" და სხვა).

დღეს საქართველოში ასტროლოგია, სამწუხაროდ, დაბალ დონეზე დგას. იგი უსათუოდ აღორძინებას და განვითარებას საჭიროებს. ამ ეროვნულ საქმეს ჩაუდგა სათავეში რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული „სულიერი აღორძინების და ჰარმონიული განვითარების" ასოციაცია. ამ ასოციაციის პრეზიდენტია გია მეფისაშვილი. იგი ცნობილია, როგორც ქრისტიანული ეზოთერიზმის, სიმბოლიზმის და საიდუმლო მეცნიერებათა მკვლევარი. აღსანიშნავია მისი დამსახურება ინტეგრალური მედიცინის შექმნაში, რომელშიც ასტროლოგიური გამოკვლევები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ასოციაცია ახლო მომავალში აპირებს უფასო სამკურნალო გამაჯანსაღებელი კომპლექსის გახსნას, რაც უშუალოდ უკავშირდება ექიმების მიერ ასტროლოგიური მედიცინის საფუძვლების ათვისებას. ამავე დროს ასოციაცია შეეცდება, რაც შეიძლება მალე დანერგოს ასტროლოგიური მეცნიერების მიღწევები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, რაც დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში შედეგიანად გამოიყენება.

**— როგორც გავიგეთ, სულიერი აღორძინების და ჰარმონიული განვითარების ასოციაცია გამოსცემს წიგნს. თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვით გვითხარით მის შესახებ.**

— წიგნი „ვარსკვლავები, ადამიანები, ბედისწერა" გამოსაცემად მოამზადა სულიერი აღორძინების და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის ასტროლოგიურმა სექციამ. წიგნის მიზანია მსოფლიო ასტროლოგიის მიღწევების შედარებითი შესწავლა, განზოგადოება და ფართო მკითხველის სამსჯავროზე გატანა. მასში, ასტროლოგიის ისტორიულ მიმოხილვასთან ერთად, შესულია ამ მეცნიერების ძირითადი პრინციპები, ქართული ასტროლოგიური ტრაქტატები, ნაწყვეტები თანამედროვე ასტროლოგიური ბესტსელერებიდან, აგრეთვე აღმოსავლური და დასავლური პოპულარული ჰოროსკოპები. წიგნი დაწერილია მკითხველთა ფართო წრისათვის გასაგები ენით. იგი დაეხმარება დაინტერესებულ პირებს, გაეცნონ ასტროლოგიის რაობას, შეისწავლონ მისი კანონები და ეს ცოდნა გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ბოლოს მინდა მოგახსენოთ, რომ წიგნის რეალიზაციით მიღებული თანხა მოხმარდება ზემოაღნიშნული ასოციაციის უფასო სამკურნალო გამაჯანსაღებელი ცენტრის შექმნას.

**— როდის გამოიცემა ეს წიგნი?**

— ალბათ, ზაფხულისთვის.

**— რას ითვალისწინებს რუბრიკა, რომელსაც გაუძღვებით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე?**

— წინასწარ ძნელია რუბრიკის თემატიკის სფეროს ზუსტად განსაზღვრა. ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. ასეა თუ ისე, იმედი გვაქვს, რომ მკითხველი გულგრილი არ დარჩება და ჩვენ წერილებს გამოეხმაურება. ეს, თავის მხრივ, დაგვეხმარება უფრო ზუსტად გავერკვეთ კონკრეტულად რა აინტერესებს მკითხველთა წრეს. მუშაობაც ამისდაგვარად წარიმართება. ჯერჯერობით გეგმით ვითვალისწინებთ, მკითხველს გავაცნოთ მსოფლიოს ასტროლოგიის განვითარების ისტორია, თანამედროვე გამოჩენილ ასტროლოგთა ზოგიერთი ნაშრომი, გამოვაქვეყნოთ პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც ადამიანთა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს შეეხება.

**1990 წელი** აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ცხენის წელიწადია. იგი ძალაში შევა 27 იანვარს და 1991 წლის 14 თებერვლამდე გასტანს.

ეს წელი ხასიათდება ექსცენტრულობით, თვითდაჯერებულობით, დომინირებისაკენ სწრაფვით და ამპარტავნობით. ერთი სიტყვით, ცხენს საშუალება ეძლევა მთელი წლის განმავლობაში აჭენოს და იჭიხვინოს მაგრამ „ცეცხლის ცხენები“ (1966 წელს დაბადებულნი) ძალიან ნუ გათამამდებიან, მათთვის შეიძლება არც-თუ სასურველი აღმოჩნდეს ეს წელიწადი. არც სხვა წლებში დაბადებული ცხენებისათვის იქნება მაინც და მაინც სახარბიელო ეს წელი.

ცხენის წელი შესანიშნავი დროა ახალი საქმეების წამოსაწყებად. ეცადეთ, იაროთ არაორდინალური მიმართულებით, გაკვალოთ ახალი გზები, ნუ შეუშინდებით ახალი იმპულსების განხორციელებას — ცხენი ხელს შეგიწყობთ ლიდერობაში, რაც საბოლოოდ წარმატებას მოგიტანთ იმ სფეროში, რომელსაც თქვენ აირჩევთ.

ყოველთვის გახსოვდეთ: ცხენს მართვა სჭირდება, ამიტომ ყოველთვის ის გაიმარჯვებს, ვისაც კონსტრუქციული აზროვნება და მოქმედება შეუძლია. დანარჩენი ცხენის ძალას მიანდეთ და თქვენ პირველი იქნებით.

ამ წელს არა ერთი სახიფათო გამოცდა გელით. თვითონვე იქნებით თქვენი ცხოვრების პირობების და გარემოების შემქმნელი და ამიტომ დიდ წარმატებებსაც მხოლოდ კონსტრუქციული ძალისხმევით მიაღწევთ. ზოგჯერ, რა თქმა უნდა, მეგობრებიც დაგეხმარებიან, მაგრამ ძირითადად მაინც პირადად თქვენზე იქნება დამოკიდებული ყველაფერი.

განახორციელეთ საკუთარი იდეები. ეს წელი განსაკუთრებით კარგია ახალი მიზნების მისაღწევად, აგრეთვე, რეკლამირებისათვის (რაც ბრწყინვალედ შეუძლია გამოიყენოს დრაკონმა — 1940, 1952, 1964), ვაჭრობისათვის, გაცვლებისათვის და საქმიანი მიმოწერისათვის. ეს პოტენციები ძლიერდება ივნისის ბოლო რიცხვებიდან.

დაივიწყეთ წარსულის შეცდომები. მოულოდნელი შემთხვევა თქვენ გადაგრთავთ ახალ ტალღეზე, ახალ ციკლზე, რაც საშუალებას მოგცემთ დაივიწყოთ ძველი. მიენდეთ ახალ მეგობარს, ახალ საქმეს, ბიზნესს.

ცხენი მთელი წელი იჭიხვინებს, მაგრამ თქვენ აუცილებლად მოერიდეთ გულფიცხობას, სულსწრაფობას, რადგან გაიმარჯვებს მხოლოდ დიპლომატია და კონსტრუქციული აზრი. ერთი სიტყვით, გაიმარჯვებს მხოლოდ ის მხედარი, რომელიც ცხენს კი არ დამორჩილდება, არამედ თავად დაიმორჩილებს მას.

ეს აგრეთვე იქნება მიტინგებისა და საჯარო მსჯელობების წელი, თუმცა ამჯერად ძირითადი ბრძოლა კულისებში წარიმართება და გაიმარჯვებს დიპლომატია. ჯერჯერობით დემოკრატია ვერ მოიპოვებს რეალურ წარმატებებს. ეს წელი უფრო მოსამზადებელი, მაორიენტირებელი პერიოდია, რათა საფუძველი ჩაეყაროს ბაზას მომავალი წლისათვის, როდესაც რეალური ცვლილებებია მოსალოდნელი.

ცხენის წელი პოპულარობას და ეკონომიკურ კეთილდღეობას გვპირდება. ყოველგვარ ფინანსურ საკითხებში შესაძლებელია დიდი წარმატებების მიღწევა, დამახასიათებელია აგრეთვე გულმოწყალება, სითბო არა მარტო ახლობლების მიმართ, არამედ ერის ყოველ წარმომადგენელს შორის, რაც ერთი დიდი, მყუდრო ოჯახის განცდას ქმნის. თუმცა, შეიძლება თავი იჩინოს სპეკულაციამ, სარფიანმა საქმემ, მომხმარებლობამ.

განსაკუთრებით პოპულარული იქნება მასობრივი გართობა-სანახაობები, თეატრი, კონცერტები, სპორტი. ადამიანები მეტ ყურადღებას გამოიჩენენ საწინააღმდეგოდ სქესისადმი (რაც ყველაზე მეტ სიამოვნებას მიანიჭებს თხას — 1943, 1955, 1967).

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და ნუ გარისკავთ სიცოცხლეს. წლის პირველ ნახევარში თავს უნდა გაუფრთხილდნენ ის ადამიანები, ვისაც ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და ხერხემლის ქრონიკული დაავადებები აწუხებთ. მეორე ნახევარში — ვისაც მაღალი წნევა აქვს და გულით ავადმყოფები.

იყავით ყურადღებიანი, მაგრამ ნუ შეშინდებით, რათა თქვენში არ გაიმარჯვოს მეტყველებამ, გაუბედაობამ, დაურწმუნებლობამ, ეჭვიანობამ. ცხენს გაბედული მხედარი უყვარს.

1990 წელს ბევრი სახელმწიფო საქმე მოაქვს, საჭირო იქნება გონების მეტად მოკრება.

ვირთხისთვის (1948, 1960, 1972) სახიფათო წელია, მას მთელი ძალღონის მოკრება დასჭირდება.

ხარი (1943, 1961, 1973) წარმატებით წარმართავს თავის საქმიანობას.

ვეფხვი (1950, 1962, 1974) აუცილებლად დასაქმებული უნდა იყოს. მას შეუძლია მშვიდად გარისკოს. საშიშროება არ ელის.

კატა (1951, 1963, 1975) მშვიდადაა, მას საერთო ხმაური მაინცდამაინც არ აღელვებს.

დრაკონი (1952, 1964, 1976) ერთი საფეხურით კიდევ უფრო მაღლა აიწევს.

გველს (1953, 1965) უსიამოვნებები ელის სიყვარულში, აჯობებს თავიდანვე იზრუნოს სიყვარულის შენარჩუნებაზე.

თხა (1955, 1967) ყველგან მოწონებით და სიყვარულით ისარგებლებს.

მაიმუნს (1956, 1968) ხელსაყრელ საქმეზე წარდგენის შესანიშნავი საშუალება ეძლევა.

მამალი (1957, 1969) ყველაფრით ერთობა, სანამ პირადად არ შეეხებიან.

ძაღლს (1958, 1970) მაინცდამაინც არ სჯერა წარმატებების, თუმცა მოვლენების შუაგულში სურს ყოფნა.

ღორისთვის (1959, 1971) არაა სასურველი დრო. მის გრძნობებში კვლავ ერევიან.

**ზურაბ კარბელაშვილი,**
**დავით ჩიხლაძე.**



# ცხენს გაბედული მხედარი უყვარს

## ჰოროსკოპი 1990 წლისათვის

# ჩავიხედოთ ბედის წიგნში

**ჰოროსკოპი**

**თხის რქა (22. XII-20. I).** ცხენის წელი ამ დროს დაბადებულს პრობლემებს გაუჩენს, გაუძლიერებს პასუხისმგებლობასაც.

**მერწყული. (19. I-18. II).** სასურველია დააკვირდეს საკუთარ თავს.

**თევზები (19. II-20. III).** შეძლებენ დაკმაყოფილებას. ხშირად იფიქრებენ იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ.

**ვერძი (21. III-20. IV).** იქნება მრისხანე, მკვეთრი, მაგრამ თანმიმდევრული თავის აზრებში.

**კურო (21. IV-21. V).** ნაკლებად ეგოისტური იქნება. შეძლებს დათმობას.

**მარჩბივი (22. V-21. VI).** არ გაჩერდება ერთ ადგილზე, მაგრამ თავის წამოწყებებს ბოლომდე არ მიჰყვება.

**კირჩხიბი (22. VI-22. VII).** ძალზე მგრძნობიარე იქნება, იცხოვრებს ისე, როგორც მოუნდება.

**ლომი (23. VII-23. VIII).** მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებს.

**ქალწული (24. VIII-23. IX).** ეფექტური იქნება, მაგრამ ცვალებადი. საჭიროა, გამოიყენოს თავისი პრაქტიკულობა.

**სასწორი (24. IX-23. X).** ჯამბაზის როლში იქნება, მაგრამ მოიქცევა, ისე, როგორც მას მოესურვება.

**ღრიანკალი (24. X-22. XI).** ვნებათაღელვას აყოლილი და მიზანსწრაფული იქნება.

**მშვილდოსანი (23. XI-21. XII).** უკიდურესად არასტაბილური იქნება.

წლევანდელი წელი განსაკუთრებით კარგია კუროსათვის, ღრიანკალისათვის, ქალწულისა და თევზებისათვის.

# ალო 1990 გისმენთ

**თბილისი.** ტელეფონის ციფერბლატზე ვკრეფთ ნომერს; 95-19-90.

ზარს ხანშიშესული მამაკაცი პასუხობს. ჩემი ხმის შემდეგ — „ბავშვია ვიღაცაო“ — და ყურმილს კიდებს. მეორედ ვაწუხებ, ამჯერად მეცნობა.

— მიხეილ ლომიძე, სამამულო ომის ინვალიდი... რა ხასიათზე უნდა ვიყო, ჩემო ბატონო, ბაზარში სიძვირეა, მაღაზიებში სიცარიელე... ვშრომობ, ბატონო, და ვარ ჩემთვის. ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგვცეს... სამი შვილიშვილი მყავს. მალე შვილთაშვილებიც იქნებიან, აბა... საახალწლოდ ყველას გამრავლებას ვუსურვებ... ახალგაზრდობა?

— ძალიან კარგი ახალგაზრდობა გვყავს, კულტურული... შრომისმოყვარეობით ჩემი დროის ახალგაზრდები მომწონს, ჩემო ბატონო, და დროსტარებით ახლანდელები...

**74-19-90**

— ჩხარტიშვილი ნინო, 182-ე საშუალო სკოლის პედაგოგი, ორი შვილის დედა, 40 წლის.

— წლევანდელი წელი ტკივილიანი იყო. ოჯახშიც ძალიან განვიცდით ამ დაძაბულ სიტუაციებს. მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ.

— სკოლაში ისტორიას ვასწავლი. მესმის ბავშვების, როცა ისინი საქართველოს ისტორიის ქრესტომათიულ სწავლებას მოითხოვენ, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისა და ახალი ისტორიის ხარჯზე.

— არა მგონია, უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი სწავლების შემოღებით რამე შეიცვალოს, სანამ ჩვენში დიპლომია დაფასებული და არა ცოდნა.

— მომავალი წლისთვის მშვიდობას ვინატრებდი, კიდევ პატარ-პატარა გამარჯვებებსაც, ვინემ სანუკვარ მიზანს მივაღწევდეთ.

**22-19-90**

(ქალბატონის მკაცრი, გაღიზიანებული ხმა)

— საახალწლო განწყობილება? გადასარევი, გენაცვალე, მაგრამ მე აქ სტუმრად ვარ, სხვასთან დარეკეთ.

**34-19-90**

(რას ვიფიქრებდი, თუ კვლავ ოჯახში სტუმრად ჩამოსული შეგვხვდებოდა).

— კარლო მაისურაძე, ეკონომისტი, 54 წლის.

— მე გენაცვალე, ჩამოსული ვარ ამბროლაურის რაიონის სოფელ ზნაკვადან, სტუმრად.

— გაიხიზნა ახალგაზრდობა, ელემენტარული პირობები არა გვაქვს. ბევრგან არც რადიო მუშაობს, არც ტელევიზორი, წესიერი გზებიც კი არაა გაყვანილი. ალბათ, გეცოდინებათ, ახლახან საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ შეიქმნა, აპირებენ პირველ რიგში სოფლებს მიხედონ, ეგება გვეშველოს.

— ჩვენი სახალხო ფრონტის დახმარებით რაიონის ხელმძღვანელობა ადგილობრივი პირებით შევცვალეთ. რაიკომის მდივნად ახალგაზრდა კაცი ავირჩიეთ, გვარად ფრუიძე. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

— სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ბევრი რამ არ მომეწონა. პირდაპირ სამარცხვინოდ მეჩვენა მთელი დღე რომ დღის წესრიგის დამტკიცებას მოუნდნენ. ახლა ცხრა აპრილის ამბები... საკავშირო ტელევიზიით ის მაინც გამოეცხადებინათ, თუ რა მიზეზით შეიკავეს თავი ყრილობაზე ამ ამბების განხილვის ჩვენებისაგან.

— სამი შვილი და სამი შვილიშვილი მყავს. სიკეთეს ვუსურვებ ჩემს ხალხს. მე ყოველთვის მასთან ვარ, ენაცვალოს ჩემი თავი.

**39-19-90**

— მზია ჯიქია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მეან-გინეკოლოგი, სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეან-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტი.

— გაუთხოვრობაში ჩემმა პროფესიამაც შემიწყო ხელი. კარგ გინეკოლოგს საკუთარი თავისთვის ცოტა დრო რჩება... მერე ასპირანტურა, დისერტაცია და... თქვენ გირჩევთ, პირველ რიგში ოჯახის შექმნაზე იფიქროთ, თუმცა უსიყვარულოდ გათხოვება...

— დიახ, დიახ, ბევრი სიყვარულით შექმნილი ოჯახიც ინგრევა ხოლმე. მთავარი ალბათ, მაინც მოვალეობის გრძნობაა. ამასთან ჩვენში განქორწინებათა ასეთ კატასტროფულ ზრდას უთუოდ სხვა რამემაც შეუწყო ხელი. მხედველობაში მაქვს წყვილთა დაბალი სქესობრივი კულტურა.

— გეთანხმებით, რომ ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, ვუფრთხით ამაზე ხმამაღლა საუბარს, მაგრამ ერს უჭირს, გამრავლება კი მისი გადარჩენის ერთ-ერთი პირობაა. ამიტომ, უფლება არა გვაქვს ოჯახების დანგრევის მიზეზებს არ ჩავუღრმავდეთ.

— აბორტების აკრძალვით კრიმინალური აბორტების რიცხვი გაიზრდება. ქალისათვის ეს უფრო საზიანოა. ჩვენთან მოსულ ახალგაზრდა დედებს ხშირად ვარიგებთ ხოლმე. ვინ იცის, რამდენი ბავშვისთვის შეგვინარჩუნებია, სიცოცხლე. ჩემი აზრით, მარტოხელა დედების მიმართ ჩვენი საზოგადოება მეტისმეტად მკაცრია.

(დასასრული მე-8 გვ.).

# ალო — 19 ყი გისმენს!

(დასასრული)

ამიტომაც მიტოვებული ქალების უმრავლესობა აბორტს მიმართავს. არადა ერს შვილები სჭირდება.

— სამწუხაროდ, ქალაქში რემონტის მიზეზით სამი სამშობიაროა გამოკეტილი, ორი კი არ კმარა.

— ქორწილები დაგვებედოს. გასათხოვრებს შევახსენებ, რომ მშობიარობისათვის საუკეთესო ასაკი 20-დან 30-წლამდეა, გული მწყდება, რომ ჩვენს ერს სტუმართმოყვარეობა არ დაუფასეს. მე არასოდეს გამირჩევია ავადმყოფები ეროვნებათა მიხედვით, წელს ესეც კი იკადრეს. ჩვენ ჩვენი სიკეთე დაგვიფარავს. ბედნიერებას ვუსურვებ ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრობს.

**რუსთავი 14-19-90**

— დათო მქვია, ხუნჩუკაშვილი, მე-14 სკოლაში ვსწავლობ, მე-8 კლასში ვარ. 13 წლის, ერთი ძმა მყავს, მეორე კლასშია.

— აღფრთოვანებული ვხვდები დღესასწაულს.

— ახალი წელი ვირის წელია, რაც დაინგრა, წელს აშენდება.

— ცხენისაა? მერე რა, ცხენიც მუშაა.

— სკოლაში მე ყოველთვის მიმართლებს. ისე, ოთხებზე ვსწავლობ.

— მიტინგებზე დავდივარ ხოლმე, ზოგჯერ ლექსებსაც ვამბობ საქართველოზე.

— თეატრის მსახიობი უნდა გამოვიდე. მომწონს როცა შეგიძლია მაყურებელს თვალებში შეხედო.

— ჩემმა ტოლმა ბიჭმა, პირველ რიგში, კარგად უნდა ისწავლოს, რომ საქართველოს გამოადგეს.

— საქართველოს დამოუკიდებლობას ვინატრებდი, ჩემი თავი...

**თელავი 8-19-90**

— ნათელა მათიაშვილი გისმენთ. ეს ატეესია.

ტექნიკოსად ვმუშაობ...

— 26 წლისა ვარ, გასათხოვარი...

— ძალიან ცუდი საახალწლო განწყობილება მაქვს.

— ახლა დაძაბული ვმუშაობთ, არ გვინდა ვინმე გავანაწყენოთ.

— რას ვისურვებდი? (დიდხანს, დიდხანს ფიქრობს) ჩემს ტოლებს ოჯახის შექმნას ვუსურვებ.

**ხაშური 2-19-90**

— ნუგზარ ყაურაშვილი, 29 წლის, ინჟინერი.

— მეუღლე და სამი ბიჭი მყავს — ლევანი, გურამი და ვაჟა. უფროსი უკვე სკოლაში დადის, პირველ კლასშია.

— წინასწარ თქმა ცუდადა მაქვს დაცდილი. ისე, ყოველ ქართულ ოჯახში 4 შვილზე ნაკლები არ უნდა იზრდებოდეს.

— მე მგონი, ამ ყრილობაზე არაფერი გადაწყვეტილა ისეთი, დღევანდელ დაძაბულ სიტუაციას ...

რდათ, ისე მიჩქმალეს ყველაფერი. მთავარი მაინც ის არის, რომ დღეს ყველას თვალები გვაქვს ახელილი.

— მომავალ წელს ვისურვებდი, საჭირბოროტო საკითხები გადაგვეწყვიტა.

**ზუგდიდი 2-19-90**

— კარტოზია ეკა, 22 წლის, მე ამ ოჯახის რძალი ვარ, ისე ჭიჭინაძის ბინაა.

— წელს გავთხოვდი, სულ ოთხი თვეა. ჩემს მეუღლეს დათო ჰქვია. ჯერ არავითარი პრობლემები არ გვაწუხებს.

— თუ დამიჯერებთ, 4 შვილის გაჩენას ვაპირებ. თავიდან კი მართალი გითხრათ, ასე არ ვფიქრობდი.

— „ახალგაზრდა კომუნისტი" ჩემი საყვარელი გაზეთია, მართალი, გითხრათ, არ მიფიქრია, რა თემებზე ჯობდა კიდევ დაწერილიყო.

— ჩემს ქვეყანას ბედნიერებას, გამრავლებას ვუსურვებ.

**მაია თუნგია**

# „თბილისი!"

**იმედია, ამ წერილს გაეცნობიან ქართული ფეხბურთის მესვეურები**

**თქვენი** გაზეთის საშუალებით გვინდა დავუბრუნდეთ ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხს, რომელიც დიდი ხანია აწუხებს ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს და რომელიც რამდენჯერმე წამოიჭრა წინა წლებში, მაგრამ უშედეგოდ. საქმე ეხება ჩვენი საყვარელი საფეხბურთო კლუბის — თბილისის „დინამოს" სახელწოდებას.

დღეს, როდესაც საქართველოში ასე აქტიურად მიდის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების პროცესი, ხდება უახლოესი წარსულის „ღირებულებათა" გადაფასება და ეროვნული ისტორიული სახელების დარქმევა-დაბრუნება, ამ კუთხით დროულად გადასაწყვეტია ჩვენი უპირველესი გუნდისათვის „დინამოს" სახელწოდების შეცვლა... რადგან დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს დედაქალაქის გუნდს არ შეიძლება ერქვას ეს სახელი და ადრე თუ გვიან ჩვენ მაინც მოგვიწევს მისი გადარქმევა.

სიტყვა „დინამო" დღესდღეობით შინარასობრივად არაფრისმთქმელია. იგი არის 20-30-იან წლებში შექმნილი სპორტული სახელწოდება-შტამპი. ამ სახელით მონათლულია საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ასეულობით სპორტული კლუბი თუ გუნდი.

როგორც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, ადრეც იყო სერიოზული ცდები ჩვენი გუნდისათვის სახელის შეცვლისა, მაგრამ ოფიციალური თუ არაოფიციალური პირნი ამის საწინააღმდეგოდ აყენებდნენ ორ ძირითად არგუმენტს: 1. თბილისის „დინამო" იყო შსს და სოპრტსაზოგადოება „დინამოს" გუნდი; 2. თითქოს ჩვენ გუნდს საზღვარგარეთ „დინამოს" სახელით იცნობენ. მათ საპასუხოდ შეიძლება ითქვას, (როგორც ცნობილია დღეისათვის თბილისის „დინამო" არის დამოუკიდებელი პროფესიული საფეხბურთო კლუბი. რაც შეეხება იმას, რომ თურმე ჩვენ „დინამოს" სახელით გვიცნობენ, შინ და გარეთ, უსაფუძვლო და მცდარია, რადგან საერთაშორისო სარბიელზე ჩვენს გარდა მონაწილეობენ კიევის, მოსკოვის, მინსკის, ბერლინის, ზაგრების, დრეზდენის, ბუქარესტის და სხვა მრავალი „დინამოები", ხოლო თუ გადავხედავთ „საშინაო ცხრილებს", აქაც არ იგრძნობა „დინამოების" ნაკლებობა. მარტო საქართველოში ამ სახელს დედაქალაქის კლუბთან ერთად ატარებენ ბათუმის, სოხუმის, ზუგდიდის და გაგრის გუნდები.

ასე რომ, ამდენ „დინამოებში" უცხოელები კი არა, ჩვენც იოლად დავიბნეოდით, რომ ხაზგასმით არ ფიგურირებდეს ქალაქის დასახელება. გავიხსენოთ, როდესაც ჩვენი გუნდი მონაწილეობდა ევროპის საკლუბო ტურნირებში, საფეხბურთო მატჩის თუ წილისყრის დროს ასახელებდნენ ჩვენს ქალაქს, სატელევიზიო ეკრანზე თუ სპორტული არენის ტაბლოზე ეწერა ჩვენი ქალაქის სახელი. უცხოეთის თუ საკავშირო საფეხბურთო წრეები და კერძო პირები ვინც ჩვენ ნამდვილად გვიცნობენ, კარგად იციან, რომ ჩვენი გუნდი წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქის თბილისის საფეხბურთო კლუბს და მის სახელში ყოველთვის ძირითად განმსაზღვრელად ფიგურირებს — „თბილისი" და არა „დინამო". ამიტომ აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა მოვიცილოთ ძველი, არაფრისმთქმელი შტამპი და ჩვენი ქალაქის სახელოვან საფეხბურთო კოლექტივს ეწოდოს — საფეხბურთო კლუბი „თბილისი" (ს. კ. „თბილისი" (FK „TBILISI") დიახ, „თბილისი" და არა რომელიმე სხვა სახელი, რადგან იგი ყველაზე კარგად და ლაკონურად მიანიშნებს, რომ ის ჩვენი დედაქალაქის გუნდია და არა საქართველოს ან კავკასიის სხვა რომელიმე ქალაქისა და, რაც ყველაზე მთავარია, სწორედ „თბილისი" შეუნარჩუნებს ჩვენ გუნდს, ამავე დროს, იმ სახელსა და წარმატებებს, რაც წარსულში ჰქონდა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ უძლიერეს საფეხბურთო ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს ტრადიცია, როცა კლუბები ატარებენ მშობლიური ქალაქების სახელებს, მაგალითად: „ლივერპული", კიოლნი", „გეტებორგი", „ბრიუგე", „შტუტგარტი", „რომა", „ვალენსია", „ანტვერპენი", „კაიზერსლაუტერნი", „ეინდჰოვენი" და მრავალი სხვა. თუ ფეხბურთის ამ აღიარებული გრანდების გვერდით გავიხსენებთ აგრეთვე წლევანდელი ევროპული ტურნირების გამარჯვებულ სამივე სუპერკლუბს „მილანს", „ბარსელონას" და „ნაპოლს", რომლებიც ასევე თავიანთი მშობლიური ქალაქების სახელებს ატარებენ, არ შეიძლება არ გაგვაჩნდეს უდიდესი სურვილი — ვიხილოთ „თბილისი" მათ გვერდით!

ახლახანს ცნობილი გახდა, რომ ჩვენმა გუნდმა 2 იანვრიდან დაიწყო მზადება მომავალი საფეხბურთო სეზონისათვის. კლუბის ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელებმა პირველივე საერთო კრებაზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომელსაც დიდი ხანია ელის ქართველ გულშემატკივართა მრავალათასიანი არმია: ეწოდოს ჩვენს უსაყვარლეს საფეხბურთო კლუბს — „თბილისი".

**წინააღმდეგ შემთხვევაში, ვთხოვთ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას, თქვენი გაზეთის ფურცლებზე პასუხი გასცენ მრავალრიცხოვან ქართველ გულშემატკივრებს, თუ დღემდე რატომ იკავებენ თავს და რატომ უგულებელყოფენ ათასობით ქომაგის მოსაზრებებს, თბილისის საფეხბურთო კლუბისათვის ეროვნული სახელის დარქმევაზე.**

**გულშემატკივართა სახელით**
**მალხაზ მეფარიშვილი,**
**რევიკო ივარდავა.**

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის**

# სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აცხადებს, რომ 1990 წელს მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ დისციპლინებში:**

**ქართული სექტორი**

სპეციალობებზე „მათემატიკა", „გამოყენებითი მათემატიკა", „გეოლოგიური აგეგმვა და ძებნა-ძიება", „ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები", „ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში", „ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში", „ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში", „ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები", „ეკონომიკური კიბერნეტიკა".

— მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობებზე „ფიზიკა", „რადიოფიზიკა და ელექტრონიკა", „მიკროელექტრონიკა და ნახევრადგამტარული ხელსაწყოები".

— ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობაზე „ქიმია".

— მათემატიკა (წერა), ქიმია (წერა) ფიზიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობაზე „ბიოლოგია"

მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (წერა), ქიმია (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობებზე „გეოგრაფია", „მეტეოროლოგია".

— მათემატიკა (წერა და ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობაზე „ფსიქოლოგია"

— მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

სპეციალობებზე „ფილოსოფია", „სოციოლოგია".

— საზოგადოებათმცოდნეობა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), რუსული ან უცხო ენა — არჩევით (ზეპირი);

სპეციალობებზე „ფინანსები და კრედიტი", „სტატისტიკა", „სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვა", „შრომის ეკონომიკა და სოციოლოგია", „ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზკვებაში", „მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია".

— მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობებზე „სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა", „არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა", „ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში".

— მათემატიკა (წერა და ზეპირი), ქიმია (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობებზე „აღმოსავლეთმცოდნეობა", „აღმოსავლური ენები და ლიტერატურა", „ჟურნალისტიკა".

— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ენა უცხო ენა — არჩევით (ზეპირი);

სპეციალობებზე „ქართული ენა და ლიტერატურა", „ისტორია".

— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი) უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

სპეციალობაზე „ხელოვნებათმცოდნეობა".

— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ხელოვნებათა ისტორია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

სპეციალობებზე „ინგლისური ენა და ლიტერატურა", „ფრანგული ენა და ლიტერატურა", „გერმანული ენა დ ლიტერატურა".

— შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

სპეციალობაზე „სამართლისმცოდნეობა".

— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ან უცხო ენა — არჩევით (ზეპირი), საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები (ზეპირი);

სპეციალობაზე „გამოყენებითი ლინგვისტიკა".

— მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

სპეციალობაზე „პოლიტეკონომია".

— საზოგადოებათმცოდნეობა (ზეპირი), მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**რუსული სექტორი**

სპეციალობაზე „გამოყენებითი მათემატიკა".

— მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობებზე „ფიზიკა", „რადიოფიზიკა და ელექტრონიკა".

— ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

სპეციალობებზე „რუსული ენა და ლიტერატურა", „ბერძნული ენა და ლიტერატურა", „ჟურნალისტიკა".

— რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია — არჩევით (ზეპირი);

სპეციალობაზე „სამართლისმცოდნეობა" (საღამოს სწავლების ფორმა).

— რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია — არჩევით (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები (ზეპირი).

**მიმღები კომისია**

## 1989-ე წლის თვალის ერთი გადავლებით

**6 ოქტომბერს, პადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია. ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს სახელოვანი მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.**

●

9 ოქტომბერს ათონის მთის ივერთა მონასტრიდან ღვთისმშობლის ხატის ასლი ჩამოასვენეს საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში. ივერიის ღვთისმშობლის ხატი ცნობილია თავის სასწაულმოქმედი ძალით, გადმოცემის მიხედვით იგი ათონელმა ბერებმა ზღვიდან გამოიტანეს (ეს იყო ქართველი ბერი — გაბრიელი). იგი კარიბჭეში დაასვენეს (იწოდება კარიბჭის ღვთისმშობლად). მე-16 საუკუნეში ქართველმა ერისთავებმა ხატს გუმბათიანი ნეკვტერი აუშენეს. კარიბჭის ღვთისმშობლის ხსენების დღეებად დაწესებულია ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი, აგრეთვე 3 ოქტომბერი, 12 თებერვალი და 31 მარტი.

●

**წელს 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა ქართველი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ამაღორძინებელი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობისა და ჰელსინკის ჯგუფის წევრი მერაბ კოსტავა. 21 ოქტომბერს, ხუთშაბათს ქართველმა საზოგადოებრიობამ მთაწმინდის მიწას მიაბარა დიდი მამულიშვილის ნეშტი.**

●

7 ნოემბერს თბილისში არ გამართულა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისადმი მიძღვნილი ტრადიციული სამხედრო პარადი თუ მშრომელთა დემონსტრაცია. ბევრი თბილისელის აზრია (და არა მარტო თბილისელის), რომ საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში აღარ უნდა გაიაროს ტანკმა. 9 აპრილის ტრაგედიამ განამტკიცა ეს აზრი.

●

**სამომხმარებლო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის — მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფილიალთან 9 ნოემბერს გაიხსნა მენეჯერთა სკოლა, რომლის მსმენელებიც გახდნენ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები, ხელმძღვანელი მუშაკები.**

●

10 ნოემბერს ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი საბჭოს უკანონო სესია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.

საქართველოს უმაღლესმა საბჭომ არ დაამტკიცა ავტონომიური ოლქის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილება, როგორც უკანონო.

ამ ამბებს მოჰყვა ქართველი საზოგადოებრიობის საპროტესტო მიტინგები და მანიფესტაციები.

●

**17 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეთორმეტე სესია, რომელმაც რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. მათ შორისაა კანონ-პროექტები საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებებისა და უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ.**

●

23 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

**რედაქტორი**
**მერაბ გალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსზე, სოფარაულის 29. 4 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

უე 14368